სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
20.04.2016№ 58
თბილისი

სტუ-ში 2016 წლის გაზაფხულზე სპეციალური
საგანმანათლებლო საჭიროების
მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული
ტესტირების ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შეფასების ფორმის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 სექტემბრის №1054 ბრძანების, „2016 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იმ დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგამოცდო ცენტრები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №330 ბრძანების, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა 2016 წლის გაზაფხულზე პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღების მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების, პროფესიული ტესტირების ჩატარების განრიგის განსაზღვრისა და პროფესიული ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №331 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2016 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი).

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირება ჩატარდეს 2016 წლის 21 აპრილს, 10:00 საათიდან 11 საათამდე.
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ. აბრამიშვილს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი

ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი – სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე).
2. თეონა გავაშელიშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი.
3. მამუკა მაისურაძე – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი).